№ 133

ოთხშაბათი, 24 ივნისი, 1898 წ.

**ბაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1898

# ივერია

№ 133

ოთხშაბათი, 21 ივნისი, 1898 წ.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

ბაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

**კნეინა პუპი ალექსანდრეს ასული აბაშიძისა, კნეინა ნინო სვიმონის ასული ჯამბაკურ-ორბელიანისა** და **თ. ვლადიმირ სვიმონის ძე აბაშიძე** გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი საყვარელის მეუღლისას და მეორენი ძვირფასის ძმისას, თავადის

**ნიკოლოოზ სვიმონის ძის აბაშიძისა,**

სთხოვენ მობრძანდნენ ლაბორატორიის ქუჩაზედ, № 20, სადაც ყოველ დღე გადახდილ იქმნება პანაშვიდი ნაშუადღევის 1 საათზედ და საღამოს 8 საათზედ.

დასაფლავების დღე გამოცხადებულ იქმნება ცალკე.

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**გ. მ ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. **ა. ი. რუდენკო.** 10½—11½ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აცრის.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის 11½—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულით ავადმყოფებს.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. ბუროკი.** 1½—2½ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**გ. მ. მახვილაძე.**—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

**ბ. ა. ნავასარდიანი**—6½—7 საათ

**ა. ნ. შპაკოვსკი**—6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), ვენერიულ და კანის სნეულებას.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(წ)

**ვკისრულობ**

**ტაქსაციას** და დაფასებას ტყეებისა, დაფასებას სოფლის მამულის წარმოებისა,

**პლანების აღებას და ნიველიროვკას.**

**ალექსანდრე გრიგოლის ძე სნეჟკოვი.** ლაბორატორიის ქუჩა, სახლი № 26.

**ტელეფონი** № 567.

(50—80—38).

## ნეკროლოგი

**† თავადი ნ. ს. აბაშიძე**

კვირას გარდაიცვალა ტფილისში ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ ტფილისის საგლეხო საკრებულოს წევრი თ. ნიკოლოოზ სიმონის ძე აბაშიძე. თითქმის სამოცი წელიწადია, რაც თავადი აბაშიძე ემსახურა სახელმწიფოს; ჩამოსათვლელადაც-კი ძნელია ყველა ის თანამდებობა და მინდობილობა, რაც ამ სამოცის წლის განმავლობაში თ. ნიკოლოოზს შეუსრულებია. საინტერესო და ღირსშესანიშნავი აქ უფრო ისაა, რომ განსვენებულს თითქმის არავითარი განათლება არ მიუღია. ბევრიც რომ სდომებოდა მაშინდელს ახალგაზდას, რა განათლება, ან სად უნდა მიეღო? იმერეთი ახლად იყო შეერთებული რუსეთის იმპერიასთან, ხალხი ჯერ არც-კი დაწყნარებულიყო, აქა-იქა მღელვარება-ც-კი იჩენდა ხოლმე თავსა; იმერეთს გვერდზედ ეკერა სანახევროდ თავისუფალი სამეგრელოს სამთავრო და, რაღა თქმა უნდა, ამისთანა მეზობლობა დიდად შეუშლიდა ხელს მთავრობას სწავლა-განათლება დაენერგა ახლად დამორჩილებულს იმერეთში. ასეთის დამაბრკოლებელის გარემოების მიუხედავად, განსვენებულმა მშვენივრად შეისწავლა სახელმწიფო ენა და ისე კარგად სწერდა და ლაპარაკობდა რუსულად, რომ ბევრს უმაღლესის სასწავლებლის დიპლომით აღჭურვილს შეშურდებოდა ასეთი ცოდნა. განცვიფრებაში მოჰყავდა ადამიანი განსვენებულის შრომის მოყვარეობას, იმის მხნეობას. მუშაობაში თითქოს დაღლილობა არ იცოდა რა იყო. ღრმად მოხუცებული, 80 წლამდის მიღწეული, ისეთისავე ხალისით მუშაობდა, როგორც ყმაწვილი კაცი, ისეთსავე სიფიცხეს იჩენდა მუშაობის დროს, როგორც ჯან-ღონით სავსე ჭაბუკი. სიკვდილის უკანასკნელ ჟამამდე კალამი არ გაუგდია ხელიდგან, სულ რაღაც ერთი-ორი თვე იქნება, რაც მუშაობა შესწყვიტა და დიდად სწუხდა, რომ ღონე აღარ შესწევდა მუშაობის განგრძობისათვის. ასეთი გატაცება მთავრობის ქაღალდებით, ოფიციალურის საქმეებით, ვგონებთ, ხვედრია ძველის თაობისა, ეხლანდელი სხვა თვალით უყურებს სამსახურს.

განსვენებული სამსახურში შევიდა 15 ნოემბერს 1838 წ. იმერეთის გამგებლის კანცელარიაში. როგორც ჰხედავთ, მაშინ იმერეთი გუბერნიის ხარისხს იყო მოკლებული. ყირიმის ომის დროს მონაწილეობა მიიღო ლაშქრობაში ს. ნიგოითსა და ჩოლოყთან. ომის გათავების შემდეგ დაინიშნა რაჭის მაზრის უფროსად.

ქართველს მკითხველს უეჭველია ეცოდინება, რომ ომარ-ფაშას შემოსევამ სამეგრელოში ძირეულად შესცვალა ნახევრად დამოუკიდებელ სამთავროს ბედი. ომიანობის გათავების შემდეგ მთავრობამ განუწესა სამეგრელოს ესრედ წოდებული საბჭო ორის წევრით და გამგეთი. ახლად შემოღებულს მართვა-გამგეობას ეჭირვებოდა ჩვენებური კაცი, მცოდნე ხალხის ზნე-ჩვეულებისა. ასეთ კაცად მთავრობამ იცნო თ. ნიკოლოოზი, რომელიც დაინიშნა საბჭოს უმცროს წევრად 1857 წ. ოთხი წელიწადი დაჰყო განსვენებულმა ამ თანამდებობაში და სხვა მრავალ მინდობილობათა შორის განსვენებულმა შეასრულა ერთი ფრიად საყურადღებო—მან აღნუსხვა საეკკლესიო მამულები, საიდგანაც აღმოჩნდა, რომ ჭყონდიდელს თუ მეტი არა, სამეგრელოს მთავარზე ნაკლები ყმა და მამული არა ჰქონია.

1861 წ. თ. ნიკოლოოზი დაინიშნა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის კანცელარიის გამგედ და 1867 წ. ქუთაისის საგუბერნიო საგლეხო საკრებულოს წევრად. ამ დღიდგან თ. ნიკოლოოზი აღარ მოსცილებია საგლეხო საქმეთა, აქ გაატარა თვისი უკანასკნელი დღენი. ყმათა განთავისუფლების საქმე რუსეთშიაც და ჩვენშიაც ერთ უდიდეს საქმედ ითვ-

# ფელეტონი

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი „ჯეჯილი" № V 1898 წლისა.

„ჯეჯილის" მეხუთე ნომერში პირველ გვერდზედ დასტამბულია ლექსი „გაზაფხული", რომელიც იპყრობს გაზაფხულის დასაწყისის და დასასრულის სურათის აღწერილობას; ეს ლექსი არ არის მოკლებული პოეზიას, მაგრამ ზოგიერთს მეტაფორიულ გამოთქმას, მაგ. „იმედით გული ამოვსო ზაფხულის კარმა დიამა" პატარა მკითხველები ვერ გაიგებენ. გრამმატიკის მხრივაც უკანონოდ მიგვაჩნია: „მოკნახეთ ხეს(?) ქვეშ ჩრდილია" (უნდა იყოს ხის ქვეშ). მეორე ლექსი სათაურად აქვს „ჯეჯილი". ეს ლექსი სულ ათ ტაეპიანია, რომელთაგან მარტო ოთხი ტაეპი იპყრობს ჯეჯილის აღწერილობას, სხვა გაზაფხულის სურათს გვიხატავს. ამ ლექსს სათაურად უფრო „გაზაფხული" შეეფერებოდა, ვიდრე „ჯეჯილი". საზოგადოდ ეს ლექსი, როგორც ლექსთა წყობილობით, აგრეთვე შინაარსითაც კარგია.

ამ ორ ლექსს გარდა „ჯეჯილის" ამავე ნომერში დასტამბულია საალდგომო მოთხრობა შემდეგის სათაურით: „სინანული დიდი საქმეა". მოთხრობა ადვილი საკითხავია და შინაარსსაც არ არის მოკლებული. მოთხრობის ბოლოში ავტორი (უნდა ვიგულისხმოთ, რასაკვირველია, მოწიფული ადამიანი) ეუბნება პატარა მკითხველებს: „იქნება არ დაიჯეროთ, მაგრამ გარწმუნებთ, რომ მას აქეთ, რამდენჯერაც ქათმის ხორცს დავინახავ სუფრაზე, წარსული მაგონდება და გული ფანცქალს დამიწყებს ხოლმე". რაც დასაჯერებელი არ არის და საეჭვოა, იმის გამო ლაპარაკიც აუცილებელ საჭიროებას არ შეადგენს. არც მოთხრობაში ვხედავთ ისეთს ძლიერს ფაქტებს, რომლის საშუალებითაც გამართლებული იქმნას პოეტის სიტყვები: „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გადაიცემისო", არც ისეთი ძლიერი ფაქტებია მოყვანილი, რომლის წყალობითაც ბავშვს სამუდამოდ შესძულებოდა ქათმის ხორცი. პსიხოლოგიურადაც რომ გავარჩიოთ ეს საგანი, ისიც დაგვემოწმება ამას: ცნობილია, რომ ადამიანი თავისის წლოვანების მიხედვით როგორც სულიერად, ისე ხორციელადაც სხვადასხვა ფერდება, ბავშვობის მოგონება უფრო ახსოვს მოზრდილს ადამიანს, მაგრამ რომელიმე ძლიერი შემთხვევაც ბავშვობის დროინდელი, ჰკარგავს მოწიფულობაში პირველ სიძლიერეს; ამის მიხედვით საბავშვო მწერალმა რომ თავისი ბავშვობის მოგონება აღწეროს და ბოლოს მოთხრობას ჩაურთოს „წარსული მაგონდება და გული ფანცქალს დამიწყებსო", მკითხველების მოტყუება იქნება. ბავშვებისათვის საჭიროა მარტო შესაფერისი ფაქტები, რომელთაც შეუძლიან ადვილად იმოქმედონ ბავშვების გონებაზედ და მიაწვდინონ მათ სასურველი სულიერი საზრდო.

ამავე ნომერში თავდება ერთი ვრცელი მოთხრობა—„ქალაქელი ძამია", რომელიც მესამე ნომრიდგან იბეჭდებოდა. მოკლე შინაარსი ამ მოთხრობისა ასეთია: ცოლი-წვრილ-შვილიანს ღარიბ-ღატაკს გლეხს საჩინო ლობიანიძეს თავისი უფროსი შვილი ათის წლის ბავშვი სოსანა მიჰყავს ქალაქში მოსამსახურედ დასაყენებლად. საჩინო გაურიგდება ერთს სომეხს, რომელიც აიყვანს ბავშვს წელიწადში ექვს მანეთად. სოსანა ნიჭიერი ბავშვია, კითხვის ხალისი აქვს. ამ მხრივ ჰშველის სოსანას მეზობლის მზარეული ზაქარა, რომელიც კარგ მასწავლებლად გამოადგება სოსანას. სოსანა თავისუფალ დროს სულ წიგნის კითხვაში ატარებდა. ღამით, როცა თავისის აღის ჯალაბობა დაიძინებდა, სოსანა აანთებდა ლამპარს და დიდხანს კითხულობდა. ერთხელ ლამპარი გადავარდა სტოლიდგან და ცეცხლი გაჩნდა, რომელიც მალე ჩააქრეს. მაგრამ ამ შემთხვევის გამო აღამ სოსანა მეორე დღესვე დაითხოვა. ზაქარა ამ დროს სოფელში იყო წასული. სოსანა დარჩა დიდხანს უადგილოდ. როცა ზაქარა ჩამოვიდა სოფლიდგან, სოსანას თავისს ახალ აღასთან უშოვა ადგილი. ახალი აღა დავით ჩვილიშვილი მეტად გულ-კეთილი და სათნოიანი ადამიანია. ის შენიშნავს რომ სოსანა მეტად ნიჭიერი ბავშვია, დაუჭერს კერძო მასწავლებელს, მოამზადებს და მიაღებინებს გიმნაზიაში, სადაც ჰზრდის თავის ხარჯით. საჩინო ხშირად ჩამოდის ქალაქში, მაგრამ თავისის შვილის გზა-კვალს ვერ იგნებს, დაღონებული ბრუნდება სახლში და ცოლს ატყუილებს—სოსანა ვნახე, კარგად არისო, მეხუთე კლასში რომ გადავა, სოსანა დაბრუნდება სახლში; ყველა დიდს სიხარულს მიეცემა, მეზობლები გაკვირვებულნი გაიძახიან: „კაცო ი ჩინოვნიკი ვინ ეჭტუმრა საჩინოსა?—„შვილია მისი, ქალაქში მოსამსახურეთ წაიყვანა. იქ ვიღაც ღვერთზია გამოჩენია" და სხ. ახალი აღა სოსანას გიმნაზიას დაასრულებინებს და ჰპირდება უნივერსიტეტში გაგზავნასაც, სადაც აღას შვილი სერგო, კარგი მეგობარი სოსანასი, კაიხანია სწავლობს.

მთელი მოთხრობა, როგორც საზოგადო შინაარსით, ისე კერძო აწერილობითაც ყურადღების ღირსია ბევრის მხრივ. ბავშვის სულიერ ძალღონის გასაკეთილშობილებლად ერთს საუკეთესო საშუალებად ითვლება დაბადება და გამოწვევა ბავშვის სულში თანაგრძნობისა და გულშემატკივრობისა, რომ ეს თანაგრძნობა და გულშემატკივრობა გამოდიოდეს პირდაპირ გულიდგან. რაგვარ სურათს და როგორ გმირებს შეუძლიან გამოიწვიონ ბავშვის გულში თანაგრძნობა და გულშემატკივრობა?—იმისთანა მოთხრობებს, მივუგებთ ჩვენ, რომლის სურათი და გმირები, ანუ მომქმედნი აღებულია ადამიანის ცხოვრებიდგან, ანუ ცხოველთა სამეფოდგან, რომლის ცხოვრების გამოხატულება ასე თუ ისე უახლოვდება ადამიანის ცხოვრებას. საზოგადოდ ბავშვები და დიდებიც თანაუგრძნობენ არა მარტო სულიერს, არამედ უსულო არსებათაც—ქვას, ყვავილს, რომლის მხატვრობითს აღწერასაც შეუძლიან გამოიწვიოს პატარა მკითხველებში შესაფერი თანაგრძნობა. თუ თანაგრძნობა და გულშემატკივრობა ჰნიშნავს მკითხველის გრძნო-

ლება, მან გაავლო ღრმა და შესამჩნევი კვალი ძველსა და ახალს ცხოვრების შორის. დღესაც ბევრს ეხსომება, რა აღელვება გამოიწვია მათი განთავისუფლების გამოცხადებამ ქუთაისში; განსვენებული თ. აბაშიძე მოწმე იყო ამ აღელვებისა, თავისის თვალით ჰნახა პირქვე დამხობა ძველის წეს-რიგისა და გაჩენება ახალისა და ის სიმწარე, რომელიც გამოიწვია თავად-აზნაურთა ცხოვრებაში ამ აუცილებელმა ცვლილებამ. განსვენებულმა 31 წ. გაატარა სახელხო უწყების სამსახურში ჯერ იმერეთში და შემდეგ ქართლ-კახეთში და ამოდენა მანძილზედ ვერავინ უსაყვედურებს, რომ სიმართლის სასწორი გაემრუდებინოს, ემოქმედოს მიკერძკით და არა ისე, როგორც უბრძანებდა სინიდისი, მოვალეობა სახელმწიფოსა და კანონის წინაშე.

განსვენებული იღებდა მონაწილეობას მრავალს მთავრობის მიერ დაწესებულს კომისიაში. როგორც მცოდნესა და გამოცდილს მოხელეს, მთავრობა აფასებდა და ამისათვის ისე არას განიზრახავდა, რომ წევრად თ. ნიკოლოოზი არ მიეწვიათ. ქუთაისში საქალაქო თვით-მმართველობის შემოღება რომ განიზრახეს, განსვენებული მიიწვიეს იმ კომისიაში, რომელსაც დავალებული ჰქონდა გამოეკვლია, როგორ და რა გზით მიენიჭოს ახალი საქალაქო საქმეთა წეს-რიგის ცვლილება ქუთაისის გუბერნიას. პირველ ქალაქის თავად ქუთაისში იყო თ. ნიკოლოოზი (1 დეკ. 1875 წ. 6 თებერვლამდე 1879 წ.). თ. ნიკოლოოზი იღებდა მონაწილეობას აგრეთვე იმ კომისიებში, რომელსაც ჰქონდა მინდობილი შეემუშავებინა დებულება ხიზანთათვის და ახალი საგლეხო კანონები; იყო წევრად საგუბერნიო საქალაქო და სამხედრო საკრებულოთა წევრად. ერთის სიტყვით, ამ სამოცის წლის ვანმავლობაში ისეთი თვალ საჩინო და საყურადღებო არა დაუწყია რა უმაღლესს მთავრობას, რომ თ. ნ. ს. აბაშიძის ცოდნითა და გამოცდილებით არ ესარგებლა. არც განსვენებულს გაუცრუებია მისი იმედები.

სამოცის წლის საქართველოს ცხოვრებამ განსვენებულის თვალის წინ გაიარა. ყველაფერი ან ნახული და გაგონილი ჰქონდა, ან თითონ პირადად მიუღია მონაწილეობა. რა სასარგებლო იქმნებოდა და სანატრელიცა, ასეთის ადამიანის მემუარების კითხვა! ბევრს რასმეს ეტყოდა შთამომავლობას ამ გვარი მემუარები, ჩვენში რომ წესად იყოს იმათი წერა.

განსვენებულს ჰქონდა, დაბალის ხარისხის ორდენების გარდა, შემდეგი უმაღლესი: პირველი ხარისხის წმ. ანნასი და სტანისლავისა და მესამე ხარისხის წმ. ვლადიმერისა.

ა. ყ.

—

### † პ. ა. პეშჩუროვი.

გუშინ ჩვენს გაზეთში მოხსენებული იყო ამბავი კავკასიის მთავარ-მართებლის საბჭოს წევრის პ. ა. პეშჩუროვის გარდაცვალებისა. განსვენებული ჩამომავლობით კალუგის გუბერნიის აზნაურშვილი იყო. სწავლა დაამთავრა საიმპერატორო საიურისპრუდენციო სასწავლებელში და სულ 20 წლისა იყო, რომ ტიტულიარნი სოვეტნიკის ჩინით მიღებულ იქმნა სამსახურში უმართებულესის სენატის ერთის დეპარტამენტის კანცელარიის მდივნის თანაშემწედ. კავკასიაში სამსახური დაიწყო და აქვე მსახურებდა მას აქეთ 1866 წელს. ჯერ განჯის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარედ იყო, მერე ტფილისის სამოსამართლო პალატის დეპარტამენტის თავმჯდომარედ. მთავარ-მართებლის საბჭოს წევრად პ. ა. პეშჩუროვი დანიშნულ იქმნა 1883 წ. 30 ივნისს. აგრეთვე იყო თავმჯდომარედ საკანგებო კომისიისა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ხიზანთა შესახებ დებულების განხილვა.

# ახალი ამბავი

—

*** მიწათ მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ ამ ჟამად განმარტა, რომ სახელმწიფო მამულების გამგეობას სრული უფლება აქვს ტყის ერთის ჯიშის ხეების გაჩეხვის მაგიერ სხვა ჯიშის გაჩეხვის ნება მისცეს ხოლმე გლეხებს, თუ ამას საჭიროდ დაინახავსო.

*** განზრახვა აქვთ ქ. ბათუმში სამკურნალო ზედამხედველობა დაარსონ იმათ თვალ-ყურის სადევნელად, რომელნიც წმიდა ადგილებისაკენ მიდიან სალოცავად.

*** სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებასთან დაარსებულმა განსაკუთრებულმა კომისიამ დაადგინა ტფილისის მაზრის მოუსავლობით დაზარალებულთ დაეხმაროს ფქვილისა და ხორბლის დარიგებით და არა ფულის მიცემით. ხორბლის ყიდვა იკისრა ა. გ. ჯაბადარმა.

*** კვირას, 21 ივნისს, ღამის 11 საათზედ მოწმენდილ ცაზედ მოკაშკაშე მთვარე უცებ დაბნელდა და სიბნელემ ღამის ორ საათამდის გასტანა.

*** 11 ივლისამდის კავკასიის სამკურნალო წყლებზედ სამკურნალოდ მისულან: პიატიგორსკში—2074 კაცი; ესსენტუკში—603, ჟელეზნოვოდსკში—452, და კისლოვოდსკში—129 კაცი. სულ 3258. წარსულ წელს-კი 11 ივლისამდის მისულა სულ 2532 კაცი.

*** კავკავის რკინის გზის მმართველობამ მიჰმართა გზათა სამინისტროს, ნება მოგვეცით რკინის გზის ლიანდაგი გავაკეთოთ კავკასკაიას სადგურიდგან ეკატერინოდარამდე და კიდევ მეორე ლიანდაგი ნოვოროსიისკსა და ეკატერინოდარს შუა. ამ ლიანდაგებისათვის საჭიროა 11.689.000 მანათი.

*** ტფილისის გუბერნიის ტყეების დამცველმა კომიტეტმა უკანასკნელ კრებაზედ, სხვათა შორის, მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წინადადებისამებრ მემამულის ბ-ნი მაჰავარიანის საჩივარი განიხილა. ბ-ნი მაჰავარიანი სჩივის, რომ ტყეების დამცველმა კომიტეტმა ჩემი ალბულახის მახლობლად მდებარე მამული უკანონოდ მიიჩნია დასაცავ და შესანახ მამულად, რის გამოც არამც თუ შეზღუდულ იქმნა ჩემი უფლება და ნება არ მქონდა მესარგებლა ჩემის მამულით, არამედ სამართალშიაც მიმცა მამულის მოხკნისათვის და 25,000 მან. ზარალის მიდავება მაშინ, როდესაც მთლად ჩემი მამული 16.000 მან. არის დაფასებულიო. კრებამ დაადგინა, მიენდოს ამ მამულის ადგილობრივი გამოკვლევა ტყეების მცოდნე კაცსაო.

*** გაზეთი „კავკასი“ იუწყება, რომ ტფილისის გუბერნატორმა გაჰგზავნა ახალციხეში საგანგებო საქმეთა უფროსი მოხელე ბ-ნი ტელეჟინსკი, რომელსაც დაევალა იმ დაბრკოლებათა აცდენა, რომელიც აღმოჩნდა მართლ-მადიდებელთა ეკლესიისათვის საჭირო ადგილის გადიდებისათვის ამ ქალაქში.

*** გაზ. „ახ. მიმ.“ დეპეშით ატყობინებენ ყაზბეგიდგან, რომ სადგ. ლარსიდგან მესამე ვერსის მანძილზედ კავკავისაკენ მდ. თერგმა სამხედრო გზა წაღეკა და ეტლების მიმოსვლა შეჩერებულიაო.

*** ბაქოში შემდეგი სამწუხარო ამბავი მომხდარა. 19 ივნისს ბაქოს მცხოვრებს ქერბალაი-ჰუსეინ გულიოღლის განუცხადებია პოლიციისათვის, რომ ჩემი ძმის წული სალმანი, 8 წლის ბიჭი დაიკარგა და ვერ გვიპოვნიაო. ცოტა ხნის შემდეგ დაკარგული ყმაწვილი პოლიციაში მიიყვანა ერთმა ყუბელმა და განაცხადა, ქუჩაში ორი ებრაელი შემხვდა, ერთს მათგანს ტომარა მიჰქონდა, შევამჩნიე, რომ ტომარაში რაღაც ჩურჩუნებდა, წავართვი ტომარა და შიგ ყმაწვილი აღმოჩნდაო. ურია წამოიყვანეს, მაგრამ გაექცათ. ეს ურია, რაფაელ რაგმილოვი იმავე დღეს დაიპატიმრეს. მაჰმადიანთა შორის გავრცელდა ხმა, ურიებმა ყმაწვილი მოიტაცესო, შეიკრიბა ორასი კაცი, დაუწყეს ცემა ურიებს და 20 კაცს მეტად ძალზე სცემეს. იმავე დღეს მაჰმადიანები დაუხვდნენ ყუბიდგან ბაქოში მოსულ 14 ურიას და ცემა დაუწყეს, ბევრს ქვებითა და კეტებით თავები გაუტეხეს. იმდენ ხანს სცემდნენ თურმე, ვიდრე ურიებს პოლიციელები მიეშველებოდნენ.

*** ფასანაურიდგან იწერებიან: „ციემა გაზაფხულმა, თოვლმა და ნიაღვრებმა სულ წაახდინეს მოსავალი; ქერი და შვრია წელს ძლიერ დაგვიანდება და მოსავალიც ნაკლები იქმნება. 18 ივნისს რამდენსამე საათით ფასანაურსა და მლეთს შუა მოგზაურობა შეწყვეტილი იყო, რადგანაც ნიაღვარმა გზა გააფუჭა. წყალმა წაიღო გულეთის ხიდი თერგზე, ყაზბეგთან“.

*** დ. სამტრედია. 19 ივნისს, ნაშუადღევის 4 საათზედ, მთელის დაბის მცხოვრებლები ყალხზედ დააყენა შემდეგმა ამბავმა. ერთს დუქანში მხიარულად დრო ატარებდა ღვინის სმით რამდენიმე ადგილობრივი მცხოვრებელი. უცებ რაღაც სულ უბრალოზედ ჩხუბი მოუვიდათ და ერთმა მოქეიფეთაგანმა, თავ. დავით მიქელაძემ, იძრო ხანჯალი, დაუწყო ხანჯლის ცემა დანარჩენთ და ხუთი კაცი დასჭრა, რომელთაგან ორი მძიმედ არის დაჭრილი. შემდეგ

---

ბის შეერთებას ტანჯულ არსებათა გრძნობასთან და თვით მკითხველის მიერ გამოცდას იმ ტანჯვისას, რასაც გრძნობს და სცდის მომქმედი, მაშინ უნდა შევნიშნოთ, რომ იმისთანა მოთხრობებს, რომელიც აღებულია პირდაპირ ადამიანის ცხოვრებიდგან და ჰხატავს ამ ცხოვრების სხვა-და-სხვა მხარეს, უფრო დიდი საალმზრდელო გავლენა ექმნება მკითხველებზედ, ვიდრე იმისთანა მოთხრობებს, რომელშიაც ადამიანის სახით აღნიშნულია სხვა-და-სხვა ცხოველები, სულიერი და უსულო საგნები. მართალია, ამისთანა მოთხრობები უფრო გასართობია, სახალისო და საინტერესო პატარა მკითხველებისათვის, რომელთაც ამასთან აძლევს საჭირო გონებითს საზრდოსაც გარშემორტყმულის ბუნების გასაცნობლად, მაგრამ მომქმედნი ამისთანა მოთხრობებში, ცხოველებისა და სხვა საგნების სახით, უფრო დაშორებულნი არიან ადამიანზედ. ვიდრე თვით ადამიანი—ადამიანზედ გრძნობის შეერთება სულთან უფრო ადვილია, როცა საქმე გვაქვს მონათესავე არსებასთან, ე. ი. თვით ადამიანთან, რომლის სულის კვეთება ადვილი გასაგები და მისახვედრია მისის მოყვასის მიერ.—„ქალაქელ ძამიაში“ პატარა მკითხველი გაიცნობს ჩვენის გლეხ-კაცის ცხოვრებას, მისს ავ-კარგს, რომლის ცოდნა ფრიად საჭიროა ყველა განათლებულის ინტელიგენტისათვის, პატიოსან მამულიშვილისათვის, რომლის წმინდა მოვალეობას შეადგენს უანგარო სამსახური თავისის ერისათვის. ამიტომ რამდენადაც ადრე გაიცნობენ ბავშვებს გლეხ-კაცის ცხოვრებას თავისი ჭირ-ვარამით, მით უკეთესია—ბავშვობიდგანვე აღიზრდება პატარა მკითხველებში გრძნობა გულშემატკივრობისა და თანაგრძნობისა.

ყურადღებას თუ მივაქცევთ გლეხების მდგომარეობას ჩვენში და ბევრგან სხვაგანაც, ადვილად შევნიშნავთ, რომ ყველგან საჭიროა განსაკუთრებული გარემოებანი გლეხ-კაცის ნივთიერად და ზნეობრივად არსებობისათვის. ამის მიხედვით, ვიმეორებთ, მოთხრობას „ქალაქელ ძამიას“ ექმნება შესაფერისი აღმზრდელობითი გავლენა პატარა მკითხველებზედ. ამ მოთხრობაში ჩვენ არ მოგვეწონა ის, რომ საჩინო ყოველთვის ატყუებდა და სიმართლეს უმალავდა თავისს მეუღლეს თამარს. ძნელად დასაჯერებელია, რომ ქმარმა რამდენსამე წელს დაფარულად შეინახოს იმისთანა ამბავი, რომელიც თითონაც აწუხებს და არ ეუბნება თავისს მეუღლეს, ატყუებს იმისთვის, რომ ამისთანა გრძნობა არ გამოაცდევინოს იმას, რომელიც ჭირში და ლხინში განუყრელი და თანაზიარი მეუღლეა. ეს საქციელი კარგად, ზნეობრივად ვერ ახასიათებს საჩინოს. ამ მოთხრობაში არ მოგვეწონა აგრეთვე ის ადგილი, სადაც სოსანა სიხარულის გრძნობით აღელვებული მიუახლოვდა თავისს სახლს—აქ მკითხველი მოელის შემდეგ სცენებს, თუ რა მოხდება, როცა დიდი ხნის უნახავი, ცოცხალ-მკვდრად აღიარებული შვილი, გიმნაზიის მოსწავლე შედის თავისს ეზოში; ამის ნაცვლად ავტორი მოაყოლებს საჩინოს ქალაქში ნახულსა და გაგონილს ამბავს სოსანას გამო. ეს ამბავი გაჭიანურებულია ჟურნალის ერთ გვერდ-ნახევარზე.

„ქალაქელ ძამიას“ მოსდევს აღწერილობითის ხასიათის მოთხრობა—„აბრეშუმი“. ამ წერილის ავტორი სცდილობს დაუმტკიცოს პატარა მკითხველებს, რომ საზოგადოდ აბრეშუმეულობა კეთდება წყლისა, მიწისა და ჰაერისაგან, მაგრამ ეს დამტკიცება პატარა მკითხველებისათვის ბუნდოვანად გამოდის და ვერ წარმოუდგენია აბრეშუმის ძაფი, ისეთის ფაფის მსგავსის და წებოვანის სითხისაგან გაკეთებული, რომელიც მზადდება აბრეშუმის ჭიის სტომაქში ქიმიურად სხვა და სხვა ნივთიერებისაგან. პატარა მკითხველები, რომლებმაც არ იციან, რასაკვირველია, არც მიწისა, წყლისა და ჰაერის ქიმიური შედგენილება, როგორ უნდა მიხვდნენ, რომ თუთის ხე გაჩნდა მიწისა, ჰაერისა და წყლისაგანო; განა სინათლეს, მზის სხივებს-კი არ მიუძღვის ამ საქმეში რამე ღვაწლი? ამისთანა ხასიათისა არის ის ფიზიოლოგიური წერილებიც, რომელიც იბეჭდებოდა ორს წინანდელს ნომრებში და ამ ნომრებშიაც; ეს წერილები პატარა მკითხველებისათვის შეუსაბამოდ მიგვაჩნია, რადგანაც მათი კანონიერად შეგნება მოითხოვს მკითხველისაგან ცოტად თუ ბევრად მეცნიერულს მომზადებას, საზოგადო განათლებას.

ამის შემდეგ „ჯეჯილში“ ვკითხულობთ: „ბავშვი და გულყვითელა“, ნათარგმნი ზლაპარი სტანიუკოვიჩის, და „ცოცხალი ქვა“. შინაარსით არც ერთს არა უშავს რა, თარგმანი-კი ზოგან ჰლალატობს ქართულ ენას. მაგ. „სიცივე იყო კრიმში“(?). კრიმი რუსულია, ქართულად ხმარობენ: ყირიმის ომი, ყირიმის თოფი; „ერთ აივანში დაინახა ხეზე მჯდომი ჩიტუნია“. აივანში ხეს რაღა უნდა? „ბევრი კოკრები ისევ გაუშლელი დარჩენილიყვნენ (?), „ერთი ათი მინუტი“ (?), „კუ მშვიდობიანად იჯდა ბუდეში“. „მაგიერად დღეს არ გვაგიყვანი (?) რომ სამტრედიაში არ შევსულიყავ“, „კუს ჭკვერცხები ძირს ეყარნენ (თუ ეყარა) და სხვ.

ბოტანიკურ წერილების ბეჯითი ავტორი ამ მეთხუთმეტე წერილში, რომელიც დასტამბულია „ჯეჯილის“ მეხუთე ნომერში, გააცნობს მკითხველებს ერთს ამერიკისა თუ აფრიკის მცენარეს, რომელსაც ჰია-ჰიას უწოდებს. ჰია-ჰიას ავტორი ჯერ მოგვითხრობს საზოგადო დასკვნას მცენარეების გამო და შემდეგ აგვიწერს ჰია-ჰიას. არ ვიცით, შარშან რა შინაარსის წერილებს სტამბავდა ავტორი „ჯეჯილში“, რაც შეეხება წრევანდელს, უნდა შევნიშნოთ, რომ ის დასკვნა, რომელიც მოყვანილი აქვს ჰია-ჰიის ავტორს ამ წერილის დასაწყისში, წინა წერილებიდგან სავსებით არ გამოდის, მაგ. „მცენარიდან აკეთებს კაცი ღვინოებს“ „მცენარე აძლევს მზამზარეულს (?) წამლებს“; არც ვაზი და არც ერთი სამკურნალო ბალახი არ აუწერია წელს ავტორს აფრიკა-ამერიკულ მცენარეებისას.

სამეცნიერო გასართობი № 5 კარგია. კარგია აგრეთვე „თხა და ცხვრები“, „ვნახოთ, ვინ ვისს აჯობებს“. სრულიად უაზროა პატარა საუბარი და ძმას შორის—„მორთული და ძმა“. „სასაცილო გასართობი“ „ჯეჯილის“ ბოლოში სასაცილოსთან საგულისხმიეროც იქნებოდა, ცოტა რამ გონება მახვილობაც რომ იხატებოდეს შიგ.

ლ. ბოცვაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებულ ხანჯლით თავ. მიქელაძე გამოვარდა გარეთ და უკან დაედევნა იმათ, რომელნიც დუქნიდგან დასამალად გამოცვივდნენ და რაკი ვერ დაეწია, ჩაჯდა ეტლში და მეეტლეს უბრძანა წასვლა. ამ დროს გამოჩნდა ბოქაულის თანაშემწე ქელბაქიანი დარაჯებით და გამოეკიდა ეტლს. როგორც დაეწია ეტლს, უბრძანა მიქელაძეს, რომ იარაღი დაჰყარეო, მაგრამ მიქელაძე გადმოხტა ეტლიდგან, ეცა ერთს დარაჯს და გაქცევა დაპირა. დარაჯმა ხმალი ხელში შემოჰკრა და ხელიდგან ხანჯალი გააგდებინა თავ. მიქელაძეს. შემდეგ მიქელაძე დაპატიმრებულ იქმნა. (ტფ. ფ.).

*** სოფ. ბაჯი, (რაჭის მაზრა). სწორედ რომ ცუდს მდგომარეობაში არიან ბაჯელები. არსაიდგან საშველს არ მოელიან. თუ გაავდრდა, ტალახის გამო გზაზედ კაცი ველარ გაივლის. აქაურ მცხოვრებს ქალაქში წასვლა რომ დასჭირდება, ერთი კვირა მისვლა-მოსვლას უნდება. რაც უნდა გაუჭირდეს, არ შეუძლიან რამე გაყიდოს, თუ ასე შორს არ წაიღო. თითონ თუ რამე სასყიდელი დასჭირდა, უთუოდ სოფლის მოვაჭრეთაგან უნდა იყიდოს და თუ შაური ჰღირს, ერთ აბაზს გარდაახდევინებს, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ არც ამ სოფელში იშოვება რამ. სულ უკანასკნელი ერთი შაურისა რომ დასჭირდეს, უეჭველად რიონ გაღმა უნდა გავიდეს. ხიდიც არა აქვთ. ერთი ბორანია, რომელზედაც თითო გასვლა-გამოსვლა ორი შაური ჰღირს, მაგრამ რომ ყოველ დღე მუშაობდეს, კიდევ კარგი. როგორც ცოტა მოდიდდება რიონი, ველარა ჰბედავენ კაცის გაყვანას, რადგანაც იმის მოწყობილება რიონის ძალას ვერ გაუძლებს და პატრონიანად დააქანებს ქუთაისისაკენ, ამის გამო ორი-სამი თვის განმავლობაში დაბმული აქვს, თვითონ მებორნე-კი ზის ქვაზედ, გაიყურება მეორე ნაპირისაკენ და ისვრის კენჭებს წყალში.

ეს კიდევ არაფერი, სხვა ფრივ უფრო შევიწროვებულნი არიან ბაჯელი გლეხები: აქ რამდენიც გლეხი სცხოვრებს, თითქმის იმდენივე აზნაურია, რომელთა შორის რამდენსამეს უქმმა ცხოვრებამ გამოაცალა ხელიდგან, თუ რამე საცხოვრებელი გააჩნდათ, და დღეს ალალბედზედ დაუმყარებიათ თავისი ლუკმა პურის მოპოვება. გადაიკიდებს ვინმე თოფს მხარზედ და დაეხეტება ტყეებში, შეხვდება გლეხს, წაართმევს იარაღს ან ხარებს და ვიდრე ერთ-ორ მანეთს არ მიუტანს, არ დაანებებს.

*** კუკიაში, სომხების სასაფლაოზედ, ერთს მაკე ძროხას ხბოს მაგიერ ყმაწვილის მსგავსი საოცრება უშობნია. ხბო თვით ძროხასაც კი უუცხოვნია პირველ დანახვაზე, მაგრამ მერე-კი მიუშვია ძუძუს საწოვნელად. ხბოს ყმაწვილის სახე ჰქონია, ორ ფეხზედ მდგარა და მეტად საოცარი სანახავი ყოფილა. ამის ვრცელ აღწერას მალე დავბეჭდავთ.

*** განჯა. 22 ივნისს ნაშუადღევის 1 საათზედ რკინის გზის მოსამსახურე ვლადიმერ ძაგნიძე სათევზოდ წავიდა და თან თევზის ასაფეთქებელი ნაღმი წაიღო. როგორღაც უცაბედად ნაღმი აფეთქდა და საშინლად დააშავა ძაგნიძე, რომელიც ნაშუადღევის 5 საათსა და 30 წამზედ გარდაიცვალა.

## ქალაქის საბჭო

22 ივნისი

ხმ. კარაპეტიანცი. ვიდრე საქმეების განხილვას დავიწყებდეთ, მე მსურს, ბ-ნო თავმჯდომარევ, ორიოდე სიტყვა ვთქვა. წარსულს კრებაზედ ბ-ნ იოანნესიანს ულაპარაკნია გამგეობის მიერ ჩემს ქარხანაში ვაგონების შემოკვეთის შესახებ და ამ ლაპარაკის დროს მე ცუდად ვუხსენებივარ. გაზეთებმა ხელი დასჭიდეს იოანნესიანის სიტყვებს და ათასის რამის წერა დაიწყეს ამ საგნის შესახებ. მე მგონია, ბ-ნ იოანნესიანს ჯერ უნდა გაეგო საქმე რაშია და მერე დაეწყო ლაპარაკი. მე ვთხოვ გამგეობას აუწყოს საბჭოს, როგორ მოხდა ეს საქმე.

გამგ. წევრი ვერმიშევი. კარაპეტიანცი კი არ შეგვეხვეწა, როგორც იოანნესიანმა განაცხადა, არამედ ჩვენ თითონა ვსთხოვეთ ეკისრა თავისს ქარხანაში ვაგონების მომზადება. ხოლო ამ ქარხანას იმიტომ შევუკვეთეთ, რომ აქ ტფილისში უფრო იაფადაა ეს საქმე, ვიდრე სხვაგან სადმე. რუსეთისა და საზღვარგარეთის ქარხნებს შევეკითხეთ, მაგრამ ფასები ყველგან დიდია. გარდა ამისა, კარაპეტიანცი დაგვპირდა 25 ოქტომბრისათვის 60 ვაგონს მოგიმზადებთო. რაც შეეხება იმას თუ ბე 10,000 მანეთი რად მივეცით და პირ-იქით რატომ ჩვენ თითონ არ გამოვართვით, ეს ყველგან ასეა მიღებული და ჩვენც ასე მოვიქეცით. კარაპეტიანცს სულ 60,000 მან. უნდა მივცეთ და აქედგან მასალის სასყიდლად წინდა წინვე 10,000 მან. გადავეცით.

ხმ. კარაპეტიანცი. ამიტომ, ვიმეორებ, იოანნესიანის მიერ ყველა ნათქვამს უსამართლოდ ვთვლი. გაზეთებს მხოლოდ სალაპარაკო მასალა მისცა.

ხმ. იოანნესიანი. მე კვლავ ვიმეორებ, რომ საბჭოს ხმოსანი საბჭოსაგან საიჯარო საქმეებს არ უნდა იღებდეს. ეს ნათლი-მამობასა ჰნიშნავს. ამბობენ, რომ გამგეობა ბევრს ეხვეწა კარაპეტიანცს, ემუდარა, იკისრე და მოგვიმზადე ვაგონებიო და კარაპეტიანცმაც იკისრაო. ჩემის აზრით, ეს არასფერს არ ამტკიცებს. კარაპეტიანცმა გამოუცხადა გამგეობას, ცოტა დრო-ღა დარჩა, თუ ხვალვე არ შემომიკვეთეთ ჩემი ქარხანა ვერ მოასწრობსო. გამგეობაც შეშინდა, ვაი თუ მართლა 25 ოქტომბრისთვის ვაგონები არა მქონდესო, და მეტი სახსარი რა ჰქონდა, რომ არ მიემართა კარაპეტიანცისათვის. შემდეგ გაიძახიან, რომ კარაპეტიანცი იაფად კისრულობს ვაგონების გაკეთებასაო. კარაპეტიანცს ბრინჯაოს სადნობი ქარხანა აქვს. ყველა ის მასალა, რაც ვაგონებს დასჭირდებათ: ხეტყე, ფოლადი და სხვა, მან სხვაგან უნდა შეიძინოს. მაშასადამე, თითონაც ძვირად დაუჯდება და აბა როგორ გაუკეთებს იაფად ქალაქს? აშკარაა კარაპეტიანცმა იმიტომ იკისრა ეს საქმე, რომ ფული მოეგო, და აი სწორედ მე ამ მოგების წინააღმდეგი ვარ. კარაპეტიანცს, დაინახა რა ჩვენი კრიტიკული მდგომარეობა, მოგებაზედ-კი არ უნდა ეფიქრა, არამედ რჩევა მიეცა გამგეობისათვის და გაჭირვებულ მდგომარეობიდგან გამოეყვანა...

თავმჯდომარე. ჩვენ ყოველთვის ვსარგებლობთ კარაპეტიანცის რჩევით...

ხმ. იოანნესიანი. კარგი რჩევაა, თავისს თავის საქმე გაუკეთა. განა ის რჩევაა, რომ მოვიდა და გითხრათ, 24 საათის განმავლობაში თუ არ შემომიკვეთთ, ვერ მოვასწრებ ვაგონებსაო. ვიმეორებ, ხმოსანს არ შეჰშვენის იჯარით აიღოს საბჭოსაგან რამე საქმე. თქვენ ცხენის რკინის გზის გამოსყიდვა იმიტომ გინდათ, რომ ხმოსნებს კარგი ჯამაგირიანი ადგილები აუჩინოთ.

ხმ. ა. ს. ბაბოვი. მე მგონია ხმ. იოანნესიანს მაგ საგნის შესახებ ლაპარაკი არ უნდა დაეწყო. კარაპეტიანცს უსაყვედურებს ქალაქისაგან ფულს იღებსო და თითონ-კი ხოლერობის დროს „სანიტარად“ ყოფნის გამო 50 მანეთს იღებდა... (უკმაყოფილების ხმა ისმის).

ხმ. სულხანოვი. (გააწყვეტინებს) რასა ჰლაპარაკობთ? ეგ რა სათქმელია?

ხმ. ბაბოვი. (ხმა მაღლა) გთხოვთ ლაპარაკს ნუ მიშლით!

ხმ. სულხანოვი. როგორ თუ ნუ გიშლით? საქმის მაგივრად მოჰყოლიხართ...

ხმ. ბაბოვი. (გააწყვეტინებს ხმა მაღლა) ლაპარაკს ნუ მაწყვეტინებთ, ნუ მიშლით...

თავმჯდომარე. (ზარსა ჰრეკს და ურჩევს ხმოსნებს დაწყნარებას).

ხმ. სულხანოვი. (ფეხზედ წამოდგება და ხმა მაღლა) თქვენ ყოველთვის მაწყვეტინებთ ხოლმე ლაპარაკს, მაგრამ მე არაფერს ვამბობ.

ხმ. ბაბოვი. ნუ მიშლით. შემდეგ... ჰო იმას ვამბობდი, იოანნესიანი შემცდარია. კარაპეტიანცს სამექანიკო ქარხანა აქვს და ვაგონების გაკეთება შეუძლიან. იოანნესიანმა ისეთი სიტყვები სთქვა, რომლის თქმაც საზოგადო მოღვაწეს არ შეჰშვენის. ამიტომ (თავ აწევით და ხმა მაღლა) მე ვურჩევ იოანნესიანს მეორედ აღარ ჩაიდინოს ასეთი საქმე (სიცილი ასტყდება).

ხმ. იოანნესიანი. მე მგონია ბ-ნი ბაბოვი არ უნდა კადრულობდეს ასეთს ლაპარაკს. მე იმაზედ ხნიერი ვარ და იმაზედ დიდხანს მიმსახურია ქალაქისთვის. მაგასავით ახალგაზდა რომ ვიყავი, მეც მაგაზედ ნაკლებ არა ვშრომობდი. გარდა ამისა, წარსულს კრებაზედ ხმ. ბაბოვმა უთხრა მოურავს, რომ დარიგებას ნუ მაძლევთ, — ეხლა თითონ მთელ დარიგების ლექციას მიკითხავს. მადლობა ღმერთს, მე ისეთს ხმოსნების რიცხვს არ ვეკუთვნი, რომელნიც ლაყბობაში ატარებენ დროს...

ხმ. ბაბოვი. (გააწყვეტინებს და დაიყვირებს) მე ეგ სიტყვა საკადრისად არ მიმაჩნია (უფრო მაღლა დაიყვირებს). იოანნესიანმა ეგ სიტყვა უკუ-სთქვას.

ხმ. იოანნესიანი. მე უარ-ვყოფ ამ სიტყვას. სხვების შესახებ-კი არა, ჩემზედ ვლაპარაკობდი (სიცილი ასტყდება). რაც შეეხება იმ 50 მანეთს, რომელსაც ხოლერობის დროს ვიღებდი, არც-კი ვიცი, ამ ფულს ქალაქი მაძლევდა, თუ მთავრობა...

ხმ. ბაბოვი. (გააწყვეტინებს) ეგ სულ ერთია, ხომ იღებდით?

ხმ. ა. ბ. ევანგულოვი. ჩვენ კარაპეტიანცს მადლობა უნდა გარდავუხადოთ.

ხმ. იოანნესიანი. ნუ სჩქარობთ აგრე ადრე მადლობის გარდახდას. მერეც ბევრი დრო გექმნებათ...

შემდეგ წაკითხულ იქმნა ხმ. ა. ს. ბაბოვის განცხადება ქალაქ. სახლის 115,000 მანეთად დაგირავებისა და ამ ფულის ცხენის რკინის გზის გამოსყიდვის საქმისთვის მოხმარების შესახებ, აგრეთვე წაკითხულ იქმნა გამგეობის მოხსენება რკინის გზის საჭიროებისათვის 350,000 მან. სესხის აღების თაობაზედ.

ამ საქმის განხილვამ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. ხმოსნები განსაკუთრებით ბევრს ლაპარაკობდნენ ესრედ წოდებულ საუნივერსიტეტო თანხის მოხმარების შესახებ. მკითხველებს უთუოდ ეცოდინებათ, რომ ქალაქს 100,000 მანეთი აქვს გადადებული ტფილისის მომავალ უმაღლეს სასწავლებლისათვის. გამგეობა ურჩევს საბჭოს, ეს ფული ეხლა მოვიხმაროთ და შემდეგ ხელ-ახლად შევავსოთო. მაგრამ ბევრი წინააღუდგა ამ აზრს. ხმ. ვესელოვზოროვმა, გ. მ. თუმანოვმა და სხვებმა განაცხადეს, რომ ეგ თანხა ხელ-უხლებელი უნდა იყოსო.

ხმ. კესელოვზოროვი. თუ მართლა ასეთი თანხა მოგვეპოვება სადმე, იმას კაპეიკიც არ უნდა მოვაკლოთ. გაზეთებშიაც, საზოგადოებაშიაც მაგის შესახებ ძალიან ბევრს ლაპარაკობდნენ, ამბობდნენ, რომ ასეთი თანხა არ არისო. ჩვენ-კი ეხლა გვინდა, რომ მაგ თანხის არსებობა მოვსპოთ.

ხმ. ქოჩორიანცი. ჩვენ ეს საღამოც სულ უბრალო და უსარგებლო ლაპარაკში გავატარეთ. დაუსრულებლივ ვლაპარაკობთ და ვლაპარაკობთ, ხოლო საქმეს არაფერს ვაკეთებთ. დროა, ეს წესი შევცვალოთ.

დასასრულ საბჭომ დაადგინა: მიენდოს გამგეობას აიღოს სესხად მოკლე ვადით 200,000 მანეთი, ხოლო თუ ეს არ მოხერხდა, ნება მიეცეს დააგირაოს სახლი, „მოიხმაროს საუნივერსიტეტო თანხა“ იმ პირობით, რომ როდესაც საშუალება ექნება, უკანვე დააბრუნოს და აიღოს რაც დასჭირდება დასახმარებელ თანხიდგან.

შემდეგ საბჭომ, ხმ. ალიხანოვის წინადადებით, დაადგინა 1, გადსდოს სექტემბრამდის უსახელო საზოგადოებისა, ყაზბეგისა და სხვათა წინადადებების განხილვა, ცხენის რკინის გზის შესახებ; 2, განსაკუთრებულის კომისიის ნაცვლად ცხენის რკინის გზის წარმოების საქმე მიანდოს გამგეობის წევრს ვერმიშევს.

დასასრულ საბჭომ განიხილა ტფილისის გუბერნატორის წინადადება სულით ავადმყოფთათვის საავადმყოფოს დაარსების შესახებ.

მკითხველებს ეხსომებათ უთუოდ, რომ ამას წინად, როგორც „ივერიაში“ იყო მოხსენებული, ტფილისის მიხეილის საავადმყოფოს უფროსმა გამოუცხადა ქალაქის მოურავს, რომ მიხეილის საავადმყოფო სულით-ავადმყოფებს ვერ იტევსო, ამიტომ სთხოვა, თქვენის ხარჯით ახალი საავადმყოფო დააარსეთო. მოურავმა უარი შეუთვალა და გამოუცხადა, რომ ფული არა გვაქვსო.

ამის გამო საავადმყოფოს უფროსმა ტფილისის გუბერნატორს მიჰმართა და სთხოვა, აიძულეთ ქალაქის საბჭო დააარსოს საავადმყოფოო. გუბერნატორმა მოსწერა საბჭოს და ურჩია, დააარსეთ ასეთი საავადმყოფოო. გუბერნატორს გარდა, საბჭომ მთავარმართებლისაგანაც მიიღო ბრძანება დაუყოვნებლივ საავადმყოფოს დაარსების შესახებ.

ამ საგნის განხილვის დროს საბჭოს თითქმის ყველა ხმოსნებმა ერთხმად აღიარეს, რომ დიდად საჭიროა ასეთი საავადმყოფო ქალაქისათვისაო. ადრევე უნდა დაგვეარსებინა, ვფიქრობდით კიდეც მაგის შესახებაო და სხვანი.

საბჭომ ბოლოს დაადგინა დაიქირაოს ცალკე შენობა და იქ გამართოს პირველ აგვისტოდგან საავადმყოფო 40 სულით-ავადმყოფისათვის.

კრება 12 საათზედ დაიშალა.

## წერილი ოზურგეთიდგან

13 ივნისი

წრევანდელი წელიწადი უბედური წელიწადია გურულის ცხოვრებაში. ჯერ იყო და შემოდგომაზედ სულ მოულოდნელად დასთოვა და ნაყოფით დახუნძლული ხეხილი ერთიანად დაამტვრია-დაამსხვრია. რაც შემოდგომამ დააკლო, ზამთარმა დაასრულა. მოხუცებულნი გურულნი ამბობენ, რომ არ გვახსოვს ამისთანა მაგარი ზამთარიო. საზოგადოება ძალიან შეაწუხა უშეშობამ. აგრეთვე ბევრი ოჯახი იძულებულ ჰყო თვალში ცრემლით მოეშორებოდა თავისს მარჩენალს საქონელს, რადგანაც მისთვის საკმაო საკვებავი ველარ დაურჩა.

გაზაფხულიც ძალიან ცივი და წვიმებიანი დაგვიდგა, რის გამოც ყანების თესვაც დაუგვიანდა გლეხობას. ამას არ დააჯერა ბეჩავი გლეხობა დალოცვილმა ბუნებამ: აგერ ერთი კვირაა, რაც გამუდმებით სწვიმს და სწვიმს, რის გამოც წყლები წამოდიდდა და ბევრგან ყანები მორეცხა, ბევრგან-კი დასილა. გულ-შემზარავ სანახაობას წარმოადგენს ტბებად გადაქცეული, საწყალ გლეხის ოფლით მონაგარი ყანები. თვით გლეხი ამ სურათს დაჰყურებდა და შველის ღონე-კი აღარა ჰქონდა. რაც წყალს გადარჩა, ტყემ (ბალახმა) წაიღო: ტალახისა გამო გაუმარგლელ (გაუთოხნელი) რჩება ჯერ-ჯერობით ყანები.

ამას გარდა, ბევრგან წყალმა ხიდები წაიღო და მიმოსვლის შეძლება მოგვისპო.

*
* *

სიმინდის ფასის დაწევამ და აბრეშუმის ფასის აწევამ გურულს აბრეშუმისათვის მოაკიდებინა ხელი და, მართლაც, ამ უკანასკნელ სამ-ოთხს წელიწადს ეს დარგი მრეწველობისა სულ ზრდაში შედის. წრეულს გურიაში ძალიან მოჰკიდეს ხელი ამ საქმეს და მშვენივრადაც მიჰყავდათ, რომ ამ ბოლოს დროს წვიმასა და ჰექა ქუხილს არ ევნო და დიდი ზარალი არ მიეცა საზოგადოებისათვის: როგორც ამბობენ, ერთი მესამედი მოსალოდნელი მოსავალი აბრეშუმისა გაფუჭდაო. ამისდა მიუხედავად, პარკი მაინც ბევრი მოვიდა, ბერძენვაჭრებიც სოკოსავით უცბად გამრავლდნენ. პარკის ფასმაც უცბადვე აიწია: დღეს გურიაში ფუთი პარკი ჰღირს 13 მ. — 14 მან. 50 კ. საკვირველი ეს არის, რომ კერძო კაცნი მეტს აძლევენ, ვიდრე გურიის სავაჭრო ამხანაგობა „შუამავალი“. ავნი ენანი მოგახსენებენ, რომ ეს ვაჟბატონნი წონაში ატყუებენ უვიცს ხალხსაო, და მე რა მოგახსენოთ! მითქმა-მოთქმის თავიდგან ასაცილებ-

ლაჲ სჯობს საზოგადო სასწორზედ ასწონოს ხოლმე ყველა მყიდველმა პარკი. საწყალი გლეხიც გულს დაიჯერებს...

აქვე არ შემიძლიან არ მოვიხსენო, რომ ამბობენ, „შუამავალის“ ყოფილი მმართველი ცნობილი ბ-ნი თავართქილაძეც პარკის ცალკე ყიდვას შეუდგაო. შარშან, როცა თვითონ ჰმართავდა ამხანაგობის საქმეებს, ამისთანა მოქმედებას ცუდს სახელს არქმევდა, წრეულს-კი?..

უბალახოთ შევიწროებული გურული თავისს მარჩენალ საქონელს ყოველ ზაფხულობით საბალახოდ ჰგზავნის ხოლმე მთაზედ. წრეულსაც ჩვეულებრივ ასე მოიქცა. გარნა ბედმა აქაც უმტყუნა! 9 და 10 ამ თვეს გურიის მთებზედ საშინელი თოვლი მოვიდა, რომელმაც კინაღამ ერთიანად არ გაუწყვიტა საზოგადოებას საქონელი. ვისაც შეეძლო, მაშინვე მიაშურა მთას საქონლის ჩამოსაყვანად. ამბობენ, სიცივისა გამო ბევრი საქონელი გაწყდაო.

* * *

ძალიან შეწუხებულნი არიან უხიდობით შემდეგი სოფლები: ლეხაური, გოგიეთი, აჭი, მაკვანეთი, ქაქუთი და ერთი მხარე კინტრიშას ნაწილისა, რომელთ ქალაქ ოზურგეთიდგან ჰყოფს გიჟმაჟი და დაუნდობელი, ვით მტრის მახვილი, მდინარე ბჟუჯი. ზემოხსენებულ სოფლებს, ოზურგეთის გარდა, სხვაგან არ აქვს საშველი: თუ რამე აქვთ გასასყიდი, ოზურგეთში უნდა ჩაარბენინონ, და თუ რამე სასყიდელი,—ისევ ოზურგეთს უნდა მიჰმართონ. გარნა ბჟუჯი-კი იმათი ხელის შემშლელია, რადგანაც ზედ ხიდი არ არის. აგერ შვიდ რვა წელიწადია, რაც მთავრობასთან აღძრულია თხოვნა, ამ მდინარეზედ ხიდი გაგვიკეთეთო, მაგრამ ამ თხოვნიდგან არაფერი გამოვიდა. შარშან უხიდობით შევიწროებულმა საზოგადოებამ ბ-ნ ნ. თავდგირიძის მოთავეობით დაიწყო საქმე და მთავრობას სთხოვა, თუ რამე შეწევნას მოგვცემთო საეროზო ფულებიდგან, ჩვენისვე ძალ-ღონით გავაკეთებთ ამ მდინარეზედ ხიდსაო, და საქმეც გაჩაღდა... მაგრამ აქაც უყურეთ ბედს! გუბერნიის ადმინისტრაციამ მოიწერა, რომ ამ საქმისთვის თავს ნუ იწუხებთო, რადგანაც უმაღლესმა მთავრობამ გარდასწყვიტა, ამ ცოტა ხანში ქ. ბათომი შეუერთოს ოზურგეთს გზატკეცილითაო და სხვა. აქ ისაა საკითხი, როდის გაიყვანს მთავრობა ამ გზას და ვიდრე გაიყვანდეს, საზოგადოებას რა ეშველება? გიჟმაჟი ბჟუჯი კი თავისას შვრება: შარშან ერთი კაცი შთანთქეს იმისმა ტალღებმა და წრეულსაც კინაღამ ერთს კაცს მოუსპო სიცოცხლე. ამ საცოდავის ურემი დღესაცაა დასილული შუა მდინარეში. საჭიროა, რომ ადგილობრივმა მთავრობამ ამ გლეხობას ყურადღება მიაქციოს და საცალფეხო ხიდი მაინც გასდოს.

დასასრულ ერთი სასიამოვნო ამბავიც. როგორც უკვე იყო გამოცხადებული ქალაქ ოზურგეთს სავაჟო პროგიმნაზიის გამართვის ნება ეძლევა, თუ მის შესანახავად ნახევარ ხარჯს გამოიღებსო. ამ ამბავმა ძლიერ გაახარა ოზურგეთლები: გაეღვიძათ იმედი, რომ მომავალში მაინც ეღირსებიან სავაჟო პროგიმნაზიას თავისს ქალაქში. მართალია, პირობა ნი პროგიმნაზიის დაარსებისა—ძალიან სამძიმოა ღარიბ ოზურგეთისათვის, მაგრამ, იმედია აქაური მხნე და გამრჯე საზოგადოება არ შეუშინდება ამ პირობებს და ჩქარა იქნება, თუ გვიან, თავისს გულის წადილს აასრულებს. ქალაქ ოზურგეთს, უეჭველია, თავად-აზნაურობაც გვერდში ამოუდგება. მაშინ კი შეუძლებელი არაფერი იქნება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქუთაისის მიხეილის ბანკიც რაოდენადმე შემწეობას აღმოუჩენს გურიის თავად-აზნაურობას ამ საქმეში.

ჰამუთ ბეი

## ნაკვესი

—

ერთხელ დიოგენმა ერთს უგულო და მუნწს კაცს ფული სთხოვა:

— თუ მოახერხებ და დამიყოლიებ, ფულს მოგცემო,—უთხრა ძუნწმა.

— მაგის მოხერხება და შენი დაყოლიება რომ შემეძლოს, მერწმუნე, უფრო უწინარეს იმასა გთხოვდი, რომ თავი ჩამოიხრჩოო,—უპასუხა დიოგენმა.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ერთს გაზეთში დაბეჭდილ ცნობებიდგანა სჩანს, რამდენი მინისტრი გამოცვლილა საფრანგეთში მას აქედ, რაც მესამე რესპუბლიკა დაარსდა, ე. ი. 28 წლის განმავლობაში. სულ გამოცვლილა 338 მინისტრი, ამათში გარეშე საქმეთა მინისტრებად ყოფილა—37, ფინანსთა—39, სამხედრო—40, შინაგან საქმეთა—47, ზღვათა—39, იუსტიციისა—38 და სხვ. 28 წლის განმავლობაში გამოცვლილა 36 სამინისტრო. ამათში მხოლოდ ორმა სამინისტრომ, უკანასკნელმა—მელინისამ და ტიერისამ ორ წელიწადზე ცოტა მეტ ხანს გასძლო. დანარჩენებს ერთ წელიწადზე მეტად ვერ გაუძლიათ. ორმა სამინისტრომ კიდევ მხოლოდ 21 დღეს გასძლო.

* * *

პარიჟის ერთს კლუბს მიუწვევია ერთი შესანიშნავი კაცი ჯონ გიგონსი და ბულონის ბაღში გაუმართავს საგანგებო კრება, რათა ყველას შესძლებიყო ამ შესანიშნავის კაცის ნახვა. მერე რით არის გამოჩენილი ეს ჯონ გიგონსი. იმითი, რომ თურმე საოცარი ხტუნვა იცის. ჯონს ხელში ძლიერ მძიმე რამ უჭირავს, ვიდრე გადასახტომად მოემზადება. ჯერ ზევით ახტება თურმე, მერე სიმძიმეს გადააგდებს ხელიდგან და შემდეგ კარგა დიდს მანძილზე გადახტება. ამ დროს ჯონს ტანი სწორედ უჭირავს, ხელფეხი გაჭიმული. როცა ჯონი ხტუნავს, სწორედ რომ უზარმაზარს ფრინველსა ჰგავს და თითქოს ფრინავსო, ისეთს სიმაღლეზე და დიდს მანძილზე ხტება. ჯონ გიგონსმა პირველად დამსწრენი გააოცა იმით, რომ 4½ მეტრის მანძილზედ გადახტა (ე. ი. ორ საჟენზე), მერე ორის ნახტომით—ოთხ საჟენზე; შემდეგ ათის ნახტომით 22 საჟენზე. ბოლოს დააწყო 25 სკამი. ერთი მეორეზედ სამი ადლის სიშორეზე და 25 ნახტომით გადაახტა 25 სკამს. ჯონ გიგონსი დაბალის ტანის კაცია, ძლიერ დიდი თავი აქვს, თმა წითელი, კისერი გრძელი, ბეჭები და გულმკერდი ძლიერ ვიწრო, კუნთები მსხვილი ბარკლები ძლიერ მსხვილი აქვს, როგორც ბაყაყს. წვივები ხომ საოცარია, დიდრონი და თითქმის ოთხ-კუთხი. ჯონ გიგონსი დაიბადა 1872 წელს. 19 წლისა რომ გახდა, ყველას აკვირვებდა თავისის შესანიშნავის უნარით—ხტუნვით. უწინ ერთს ქარხანაში მსახურებდა, მაგრამ ეხლა სამსახურს თავი დაანება. ან რაღათ უნდა სამსახური? პატივცემული ჯონ გიგონსი ეხლა მთელს ქვეყანას აკვირვებს, ყველგან ეპატიჟებიან და ისეთს დიდს ჯილდოს აძლევენ ხტუნვაში, რომ კვირაში 2,000 ფრანკს ფულს არ ეტყვის.

## პეტერბურგის ბირჟა, 19 ივნისს

| | მყიდველისა. | გამყიდველისა | გარიგებულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| 5%.-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | 216¾ |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | — „ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | — „ | 102 | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 100 „ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 100½ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | 100¼ | — „ | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 286¾ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი | — „ | — „ | 247½ |

## წერილი რედაქციის მიმართ

—

სიღნაღის მთელს მაზრაში ჩემდა რწმუნებულ ვეჯინის წმ. გიორგის შტატის ეკკლესიისთანა ღარიბი ეკკლესია ერთი არ არის. თუმცა აქამდისინ უფრო მეტი ნაკლი ჰქონდა, მაგრამ ზოგიერთ პატივცემულ კაცთაგან მომივიდა შემოწირულება. ჯერ შარშან ბ-ნმა ლევ სტეპანის ძემ სტალინსკიმ და მისმა მეუღლემ, ქ-ნ ელისაბედ ზურაბის ასულმა სტალინსკისამ შემოსწირეს ძვირფასი ბარძიმ-ფეშხუმი, ვარსკვლავი, კოვზი და თეფში, რისთვისაც დიდი მადლობა გარდვუხადე პირად ჩემის მრევლით. აგრეთვე მღვდელ-მონოზან დიმიტრი აბაშიძისაგან მივიღე გარდამოხსნა. წელსაც ელისაბედ ზურაბის ასულ სტალინსკისაგან მივიღეთ მშვენივრად ნაკერი დაფარნები, რისთვისაც დიდს მადლობას ვუძღვნი ჩემის მრევლით შემომწირველთ.

ვეჯინის წმ. გიორგის მღვდელი თომა ასათიანი


## განცხადებანი

ТОВАРИЩЕСТВО
Брокаръ и Ко.
ИЗОБРѢТАТЕЛИ
ГЛИЦЕРИНОВОЙ
ПУДРЫ.
СРЕДСТВО
ДЛЯ СМЯГЧЕНІЯ КОЖИ, РУКЪ И ЛИЦА.



Коробка съ пуховк. 80 к.
Коробка безъ пуховки 50 к.

(11—მ.—1)

დაიბეჭდა და ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში

# ქართლის ცხოვრება

წიგნი მეორე, ტომი პირველი

გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა

ფასი ერთი მანათი.

(3—უ.—1).


## ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა

| უმთავრესი სადგურები | მატარ. № 1 ბაქოდგან ბათუმამდე შედის | გამოდ. | მატარ. № 2 ბათუმიდგან ბაქომდე შედის | გამოდ. | მატარ. № 3 ბაქოდგან ბათუმამდე შედის | გამოდ. | მატარ. № 4 ბათუმიდგან ბაქომდე შედის | გამოდ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბათუმი | 8.47 | — | — | 8.20 | 8.33 | — | — | 8.35 |
| სამტრედია | 5.31 | 5.46 | 11.21 | 11.36 | 4.50 | 5.05 | 12.05 | 12.20 |
| ყვირილა | 3.37 | 3.47 | 1.22 | 1.32 | 2.48 | 2 58 | 2.16 | 2.26 |
| ხაშური | 12.41 | 12.56 | 4.38 | 5.00 | 11.47 | 12.02 | 5 26 | 5.41 |
| გორი | 11.23 | 11.32 | 6.06 | 6.18 | 10.23 | 10.33 | 6.45 | 6.55 |
| ტფილისი | 8.26 | 9.10 | 8.22 | 9.05 | 6.33 | 7.48 | 9.07 | 10.57 |
| აქსტაფა | 5.23 | 5.32 | 11.43 | 11.51 | 2.53 | 3.18 | 1.45 | 2.08 |
| განჯა | 2.23 | 2.37 | 2.35 | 2 55 | 11.39 | 11.54 | 5.18 | 5.40 |
| უჯარა | 10.43 | 10.53 | 6.08 | 6.20 | 7.39 | 7.49 | 9.[illegible]4 | 9.24 |
| აჯიქაბული | 7.29 | 7.44 | 9.19 | 9.30 | 3.57 | 4.17 | 1.00 | 1.25 |
| ბაქო | — | 4.05 | 12.59 | — | — | 12.20 | 5.45 | — |

შენიშვნა: შავს ხაზებში მოქცეული საათი და წუთი ღამესა ჰნიშნავს, უხაზო—დღეს.

სამტრედიასა და ფოთს შორის ორი მატარებელი დადის: პირველი სამტრედიიდგან გადის დილის 5 საათსა და 05 წუთ. და ფოთში შედის დილის 7 საათსა და 42 წუთ., მეორე—სამტრედიიდგან გადის საღამოს 7 ს. 30 წ. და ფოთში შედის საღამოს 10 ს. 08 წ.; პირველი—ფოთიდგან გამოდის საღამოს 8 ს. 55 წ. და სამტრედიაში მოდის საღ. 11 ს. 30 წ., მეორე ფოთიდგან გამოდის დილის 6 ს. 27 წ., სამტრედიაში მოდს დილის 8 ს. 55 წ.

სამტრედიასა და რიონს შორის; სამტრედიიდგან გადის დილის 9 ს. 10 წ., რიონში ჩადის დილის 10 ს. 02 წ. და ესევე მატარებელი რიონიდგან ქუთაისს გადის 10 ს. 10 წ. და ქუთაისში ჩადის 10 ს. 35 წ.

რიონიდგან ქუთაისსვე გადის მატარებელი დილის 5 ს. 30 წ., ქუთაისს ჩადის 5 ს. 55 წ., ქუთაისიდგან რიონს გამოდის დღის 5 ს. 20 წ., რიონში ჩადის 5 ს. 45 წ.

შორაპან-რიონი. შორაპნიდგან გადის დილის 7 ს., რიონში ჩადის დილის 8 ს. 11 წ., რიონიდგან გადის დღის 2 ს. 53 წ., შორაპანში ჩადის დღის 4 ს. 02 წ. ეს მატარებელი შორაპანსა და ქუთაისს შორის პირდაპირ დადის და მგზავრთ სხვა მატარებელში გადასხდომა არა სჭირდებათ.

## რკინის გზის საადგარაკო მატარებლების მიმოსვლა.

ტფილისსა და გორს შორის: ტფილისიდგან გადის დილის 10 ს. 15 წ., გორში ჩადის ნაშუადღევის 12 ს. 48 წ., გორიდგან გამოდის საღამოს 7 ს., ტფილისში ჩამოდის საღამოს 9 ს. 18 წ.

ტფილისსა და ბორჯომს შორის: ტფილისიდგან გადის ნაშუადღევის 2 ს. 30 წ., გორში ჩადის 4 ს. 58 წ., ხაშურში—საღამოს 6 ს. 29 წ., ბორჯომში—7 ს. 50 წ., ბორჯომიდგან გამოდის ღამის 1 ს. 44 წ., ხაშურში ჩამოდის ღამის 2 ს. 54 წ., გორში—ღამის 4 ს. 33 წ. და ტფილისში—დილის 7 ს. 33 წ.

ტფილისსა და მცხეთას შორის: ტფილისიდგან ორი მატარებელი გადის—ერთი—დილის 8 ს. 20 წ., და მცხეთაში ჩადის დილის 9 ს. 16 წ., მეორე—ტფილისიდგან გადის ნაშუადღევის 5 ს. 20 წ., მცხეთაში ჩადის საღამოს 6 ს. მცხეთიდგანაც ორი მატარებელი მოდის ტფილისისაკენ: პირველი მცხეთიდგან გამოდის დილის 10 ს. 8 წ. და ტფილისში ჩამოდის—10 ს. 52 წ. მეორე მცხეთიდგან გამოდის საღამოს 6 ს. 45 წ., ტფილისში ჩამოდის—7 ს. 23 წ.

ბათუმსა და ქობულეთს შორის: ბათუმიდგან სამი მატარებელი გადის: ერთი—დილის 7 ს. 15 წ. და ქობულეთში ჩადის—დილისვე 8 ს. 15 წ., მეორე—ნაშუადღევის 2 ს. 15 წ. და ქობულეთში ჩადის 3 ს. 10 წ., მესამე—ნაშუადღევს 5 ს. 15 წ. და ქობულეთში ჩადის საღამოს 6 ს. 10 წ.; ობულეთიდგანაც სამი მატარებელი მიდის. ბათუმს: პირველი—დილის 11 ს. 15 წ. და ბათუმში ჩადის ნაშუადღევის 12 ს. 12 წ., მეორე—ნაშუადღევის 3 ს. 30 წ. და ბათუმში ჩადის 4 ს. 37 წ., მესამე—საღამოს 6. ს. 45 წ. და ბათუმში ჩადის საღამოსავე 7 ს. 40 წ.





ვენისა




ოდესა



ტფილ. გამოფენა.




# ქარხანა

ზეთიანის სალებავებისა (კრასკებისა)

## ა. ა. თუთაევისა

პირველ მაისიდამ გადატანილია იარმუკიდგან მიხეილის ქუჩაზედ, საავადმყოფოს პირდაპირ, სადაც პუშკინისეული ბაღია, სახლი № 97. და მეორე განყოფილება სალებავებისა (კრასკებისა) ავლაბარშია, სირაჯხანის თავში. ორივ ალაგას საუკეთესოდ მზადდება ყოველნაირი ზეთის კრასკები და იყიდება დაშორებით სხვა წლებზედ იაფ ფასად. აგრეთვე ვყიდით ლიტოგრაფიის კრასკებს როგორც გალესილს, ისრე მშრალს, მარას, ბრონძსკისტებს და სხვა, აქვე ვიღებთ ყველა ნაირად სახლების შეკეთებას, (რემონტს) როგორც ტფილისში, ისე სხვა საქართველოს ქალაქებში, მხოლოდ რკინის გზის სადგურების მახლობლად, საქონელი სხვა ადგილებშიაც გაიგზავნება ბეის გამოგზავნით 20% ფას დადებით.

(40—6.—5)